ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი №26

ქ. თბილისი 18 ივნისი 2015 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავმჯდომარის

მოადგილე ნინო ღოღობერიძე

საბჭოს აღმასრულებელი

მდივანი ნინო გვენცაძე

კომისიის წევრები: გოჩა ბაბუნაშვილი, ნუგზარ ხვედელიანი, ირაკლი ჩირაძე, გიორგი სულაბერიძე.

მოწვეულები: თემურ კაციტაძე, ნოე სიხარულიძე, ალექსანდრე ჯობავა, ვიქტორ მარგველაშვილი, ბესიკ გაბათაშვილი, დურმიშხანი მიხელიძე, გივი გოგრიჭიანი, ნინო ხოსრუაშვილი, ნიკა კილასონია, ირაკლი გვალია, ნინო ქიქოძე, კობა სურმავა, ალექსანდრე ჯობავა, დავით ბაირამაშვილი, ჯაბა ცუტური, კახა არაბიძე, გურამ თავაძე, ნანა ბაქრაძე, დიმიტრი კორძაია, მიხეილ გაჩეჩილაძე, არჩილ კორკოტაძე, გიორგი საბაშვილი, დავით კობერიძე, დავით ბაირამაშვილი, ნანა ცომაია, გიორგი ალავერდაშვილი, ილია საბანაძე, ჯონი საჯაია, ლევან ხუხაშვილი, შოთა ჯოჯუა, ამირან ჩოქური, ლევან ოქროპირიძე, ზურაბ ვანიშვილი, გიორგი შიხაშვილი, გურამ ვანიშვილი, დავით ბახტაძე, ზურა ზაუტაშვილი, რომან კუსიანი, მანანა ბოლქვაძე, ზაზა ბიგვავა, ვახტანგ ტაბატაძე, გიორგი ჩოგოვაძე, დავით კატიაშვილი, ალექსი ზაიცევი, დავით ბერულავა, როინ მარგიანი, ლევან ხუხაშვილი, გიორგი ქევანიშვილი, ნუგზარ ბიწაძე, ზაურ ბიწაძე, ნონა ძნელაძე, ავთანდილ პაკელიანი, ჟუჟუნა თვაური, გია მჭედლიშვილი, ბესიკ ვაჩაძე, ვაჟა ტალახაშვილი, გოგა კვარაცხელია, ა თამაზ მახარობლიშვილი, სალომე ავალიანი, ნათია გონაძე, ზურაბ გეწაძე, სოფო ჯანაშვილი,

(მოწვეულები – რაფაელ ხეთაშვილი).

64. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ბენზინგასამართ სადგურთან/მტკვრის მარცხენა სანაპირო, სამთო ქიმიის შენობის მიმდებარედ/მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბენზინგასამართ სადგურთან სამთო ქიმიის შენობის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.13.04.017.102), ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ნუგზარ ღონიაშვილი, დიმიტრი მარგალიტაშვილი).

65. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნინოშვილის ქ. №55–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ბესიკ გაბათაშვილი).

66. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გოგებაშვილის ქ. №29/ერისთავ–ხოშტარიას ქ. №32–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ომარ ჯაფარიძე).

67. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაშლიჯვარში, გოძიაშვილის ქ. №15–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

68. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ცისარტყელას ქ. №46–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ბესარიონ სვანიძე).

69. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, „ა“ ზონა სააგარაკო სამმართველოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.089.031), ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

(მოწვეული – სოსო ელიზბარაშვილი).

70. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, გურჯაანის ქ. №1–ში, №4–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს, ოფისის, სავაჭრო ფართების განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

65. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნინოშვილის ქ. №55–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ბესიკ გაბათაშვილი. AR1316584.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=2,5.
მინიჭებული პარამეტრები – კ1=0,7.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,8, კ2=3,0.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია სზ 6 ის არეალში.
- მისაღებია. რადგანაც ტერიტორიაზე მოქმედებს 2 ზონა, შესაძლებელია სზ–6–ის არეალში მოემატოს პარამეტრი ვიზუალი დახვეწის პირობით.
- მისაღებია სზ-6–ის არეალში.
- მისაღებია სზ-6ის არეალში.
- მისაღებია სზ-6ის არეალში.
- მისაღებია.

1. **მიეცეს თანხმობა** ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნინოშვილის ქ. №55–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე საცხოვრებელი ზონა 6–ის არეალში.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაღვროს: კ1=0,8, კ2=3,0.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის №7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის № 06.11.162 და დგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

66. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გოგებაშვილის ქ. №29/ერისთავ–ხოშტარიას ქ. №32–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ომარ ჯაფარიძე. AR1315911.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=2,1.
არსებული პარამეტრები – კ1=0,6, კ2=3,5.

მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,6, კ2=3,6.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია. მანსარდის სართულის შესავსებად შესაძლებელია პარამეტრების მატება.
- მისაღებია კ-1 0.6 კ-2 3.6.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გოგებაშვილის ქ. №29/ერისთავ–ხოშტარიას ქ. №32–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,6, კ2=3,6.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის №7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის № 06.11.162 და დგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

67. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაშლიჯვარში, გოძიაშვილის ქ. №15–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ნოდარ ქეთიშვილი. AR1318257.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=1,5.
არსებული პარამეტრები – კ1=0,8, კ2=1,6.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია. შესაძლებელია რადგან ობიექტი საზოგადოებრივი დანიშნულებისაა.

საბურთალოს რაიონში, გელოვანის გამზირზე, ინდუსტრიული ტექნიკუმის მიმდებარედ, ქვემოთ ხევში მიმდებარედ/გელოვანის გამზირზე, ინდუსტრიული ტექნიკუმის მიმდებარედ ქვემოთ ხევში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.11.001.231), ფუნქციური ზონის სახეობა სარეკრეაციო ზონა 2–ის, სატრანსპორტო ზონა 2–ით შეცვლის თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განხილვის შედეგი: მომხრე: 4, წინააღმდეგი: 2.

საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე ნინო ღოღობერიძე

საბჭოს აღმასრულებელი
მდივანი ნინო ბენიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №3009

"6" ივლისი 2015 წ.

ქ. თბილისში, გოგებაშვილის ქ. №29/ერისთავ–ხოშტარიას ქ. №32–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე მუხლის და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2014 წლის 18 ივნისის სხდომის №26 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, გოგებაშვილის ქ. №29/ერისთავ–ხოშტარიას ქ. №32–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ1=0,6, კ2=3,6.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014 წლის №7-49 დადგენილების შესაბამისად ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE25LB0125152101628939. 91153,99 ლარი.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მეუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია